

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 12

ქ. თელავი

18 აგვისტო 2018 წ.

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 28 დეპუტატი;

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე;

ესწრებოდნენ:

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ნანა ხვისტანი;

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების
მართვის საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

ალექსანდრე შათირიშვილი;

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და
ბუნებრივი რესურსების კომისიის
თავმჯდომარე

დავით ლაღანიძე;

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე

დავით გოგოშვილი;

საკრებულოს სოციალური, კულტურის,
განათლების და ახალგაზრდულ
საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

ლევან კოჭლოშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
- დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარე

ლევან ლილუაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
- კონსერვატორები“ თავმჯდომარე

მაია მარკოზაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
- მრეწველები“ თავმჯდომარე

ტიტე დარეჯანიშვილი;

საკრებულოს ფრაქციის
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

ალექსი ძულიაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის
„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
თავმჯდომარე

არჩილი თვალთაშვილი;

საკრებულოს წევრები: ლევანი ოთიურაძე, ზაქარია გრიშკაშვილი, ზაადური რევაზიშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, გიორგი ჩაბრაშვილი, გურამი წულუკიძე, ვასილი არაბული, ზაქარია ყარასაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, გიგა მამუკელაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, გიორგი ქიზიყელაშვილი, ზურაბი ლილუაშვილი, მიხეილ გრემელაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, ბესიკ გაიპარაშვილი, აბრამ მახარიაშვილი, (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გიორგი თუშიშვილი;
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი ნ.ბაჩიაშვილი;
საკრებულოს აპარატის უფროსი ტ. გალახვარიძე;

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო რიგგარეშე სხდომის მოწვევის მიზეზი და დასამტკიცებლად წარუდგინა

დღის წესრიგი:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ.

მომხს. ნ.ბაჩიაშვილი
11.00სთ-დან-11.20 სთ-მდე

წარმოდგენილი სახით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

- 1.მოისმინეს: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ.

მომხს. ნ.ბაჩიაშვილი
11.00სთ-დან-11.20 სთ-მდე

აზრი გამოთქვას: ა.შათირიშვილმა, ბ.რევაზიშვილმა, დ.ღაღანიძემ,

გ.წულუკიძემ აღნიშნა, რომ ყადორის და ერისთავის ქუჩებზე შესაცვლელია სასმელი წყლის მაგისტრალები.

გ.მამუკელაშვილმა კი ისაუბრა იმის თაობაზე, რომ კარგია როცა მერიას
შედგენილი აქვს წარმოდგენილი პროექტები და მთავრობის თანხმობის
შემთხვევაში მოხდება მათი დაფინანსება.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი
დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 27(ოცდამეხუთი) წევრმა,
კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 01 (ერთი) წევრმა: ა.კუპატაძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე



არჩილი თხლაშიძე